ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის სიტუაციური ანალიზი სენაკის მუნიციპალიტეტში

კვლევის ანგარიში

2018 წელი

გამოიცა კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტის „ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა - გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენციისათვის“ ფარგლებში

შესავალი

წინამდებარე კვლევა ჩაატარა კულტურულ-ჰუმანიტარულმა ფონდმა „სოხუმმა“ 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით, პროექტის „ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა - გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ძალადობის პრობლემის პრევენციისათვის“ ფარგლებში.

მოცემული პროექტის მიზანი - „ინფორმირებული თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანოები შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით ახდენენ რეაგირებას ძალადობის შემთხვევებზე“.

პროექტი დაფინანსებულია სენაკის თვითმმართველობის და ფონდი „სოხუმის“ მიერ. განხორციელდა მუნიციპალიტეტის 14 თემსა და ქალაქ სენაკში. პროექტი ითვალისწინებდა ღონისძიებებს, რომლებიც სამომავლოდ ხელს შეუწყობენ ოჯახში ძალადობის პრევენციას, შემთხვევების იდენტიფიცირებისა და მართვის საკითხში თვითმმართველობის ჩართვას და მისთვის კანონით განპირობებული უფლებამოსილების განხორციელებას; ოჯახში ძალადობის რეფერირებაში ჩართულ სუბიექტებთან უკეთეს კოორდინაციას; პრობლემისადმი ადეკვატური დამოკიდებულების და დაზარალებულთა საჭიროებებზე დროული რეაგირების პოლიტიკის დანერგვას.

უნდა ითქვას, რომ მისასალმებელია სენაკის თვითმმართველობის პოზიცია, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის მასშტაბების, მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლას, რათა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა გახადოს უფრო მორგებული დაზარალებულების, ასევე რისკ-ჯგუფის ოჯახების საჭიროებებზე; სათანადოდ შეასრულოს სახელმწიფოს მიერ დაკისრებული უფლებამოსილება ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლის დახმარების მიმართულებით; გაამყაროს და განავითაროს ამ კუთხით უკვე არსებული პოზიტიური ადგილობრივი პოლიტიკა და პრაქტიკა.

ჩატარებული კვლევის მიზანი იყო სენაკის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემისა და მისი გამომწვევი მიზეზების, ბენეფიციარების საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი სერვისების საკითხის განსაზღვრა.

კვლევის მიზნის მისაღწევად დაისახა შემდეგი ამოცანები: ოჯახში ძალადობის პრობლემის სიმწვავის აღქმის განსაზღვრა; ძალადობისგან დაცვის კანონის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გამოვლენა; ოჯახში ძალადობის ძირითადი ფორმების, გამომწვევი მიზეზების, ძალადობის ობიექტების განსაზღვრა; ოჯახში ძალადობის აღკვეთაში ჩართული რგოლების მიმართ საზოგადოების ნდობის გამოვლენა, პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ღონისძიებების თაობაზე საზოგადოების ხედვების დაფიქსირება.

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის სიმწვავე, ძალადობის გამომწვევი მიზეზები და საბაზისო ხედვები მისი გადაჭრისთვის უფრო ეფექტური ინტერვენციის ზომებზე, რაც ხელს შეუწყობს სპეციფიკური სოციალური მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებას სამიზნე მუნიციპალიტეტში. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა ძირითადი სოციალური და ინსტიტუციური საკითხები, რომელთა მოგვარებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ოჯახში ძალადობის პრობლემაზე ეფექტურ რეაგირებას სენაკის მუნიციპალიტეტში. ამასთან, კვლევა ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობის აღკვეთაში მონაწილე სხვადასხვა აქტორს შორის მეტი თანამშრომლობის პრაქტიკას.

კვლევა ჩატარდა სამიზნე მუნიციპალიტეტის ქალაქ სენაკსა და მუნიციპალიტეტის 14 თემში. ქვემოთ მოცემულია კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შესახებ ინფორმაცია, ძირითადი მიგნებები/დასკვნები და რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისა და ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის და ანალიზის მეთოდოლოგია (გამოკითხვა). მასზე დაყრდნობით სამიზნე ჯგუფებში განხორციელდა კვლევის საველე სამუშაოები. შედეგები განზოგადდა მთელ მუნიციპალიტეტზე. მონაცემები, რომლებიც გამოსახულია ციფრებში, გვაძლევს მათი სტატისტიკური დამუშავებისა და სხვადასხვა თანაფარდობის გამოვლენის საშუალებას. ამით შესაძლებელი გახდა სენაკის საზოგადოებაში არსებული შეხედულებებისა და ტენდენციების გამოვლენა-ანალიზი.

საწყის ეტაპზე შემუშავდა კითხვარი, რომელიც დაიყო რამდენიმე ბლოკად: დემოგრაფიული ბლოკი, ძირითადი კითხვები **(იხ. დანართი)**. გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობამ შეადგინა 273 ადამიანი.

საკითხის სპეციფიკურობის და საზოგადოებაში არსებული მიდგომების გათვალისწინებით, არსებობს დაშვება, რომ რესპონდენტებისგან მიღებული პასუხები შეიძლება, არ იყოს გულწრფელი, რადგან მოსალოდნელია, რომ გამოკითხულებმა არ ისურვონ თავიანთი პოზიციის გაჟღერება, თავი აარიდონ პრობლემის დაფიქსირებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რადგან შეიძლება, ეჭვი შეიტანონ კონფიდენციალურობის დაცვაში. პრობლემურია მონაცემების ვალიდურობისა და სანდოობის განსაზღვრა, რადგან აღნიშნული კვლევის საველე სამუშაო ჩატარდა არაკვალიფიციური ინტერვიუერების (ამ შემთხვევაში გამგებლის წარმომადგენლების) დახმარებით, რომელთაც არ გააჩნდათ მკვლევარებისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები. კვლევის დაწყებამდე ინტერვიუერებმა მიიღეს შესაბამისი ინსტრუქტაჟი, გაეცნენ შერჩევის ლოგიკას და რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმებს. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მაღალია „ინტერვიუერის გავლენის“ ეფექტის ალბათობა.

შერჩევის სავარაუდო მაღალი ცთომილება დაკავშირებულია იმ მოცემულობასთანაც, რომ სამეგრელოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემაზე საუბარი არ არის მიღებული. ამიტომაც, მოცემული კვლევის ფარგლებში ძნელი შესამოწმებელია, როგორი იყო ინტერვიუერსა და რესპონდენტებს შორის სოციალური ინტერაქცია, რაც მიზნად ისახავდა ინტერვიუერის მხრიდან პრობლემაზე რეალური ინფორმაციის მოპოვებას.

მიუხედავად ყველაფრისა, მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა, განზოგადდეს კვლევის შედეგები და გაკეთდეს გარკვეული მიგნებები / დასკვნები.

კვლევის შედეგების აღწერა

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“ მიერ სენაკის მუნიციპალიტეტში ჩატარებული კვლევის თემა - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემის სიტუაციური კვლევა. კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა 300 რესპონდენტი, რომელთაგან შერჩევით ერთობლიობას წარმოადგენს 273 რესპონდენტი.

კვლევა (გამოკითხვის მეთოდით) ჩატარდა ქალაქ სენაკსა (103 რესპონდენტი) და მუნიციპალიტეტის შემდეგ თემებში: გეჯეთი (15 რესპონდენტი), ხორში (12), ლეძაძამე (12), მენჯი (15), ეკი (16), ზანა (15), უშაფათი(14), ახალსოფელი (15), ზემო ჭალადიდი (9), ნოქალაქევი (13), ძველი სენაკი (13), ფოცხო (14), თეკლათი (15), ნოსირი (15).

კვლევის დემოგრაფია: რესპონდენტთა ასაკი მერყეობდა 17-დან 72 წლამდე, გამოკითხულთა საშუალო ასაკი არის 43 წელი, ხოლო ყველაზე ხშირად დაფიქსირებული ასაკი - 37 წელი. იხ. **დიაგრამა N1:**

დიაგრამა N1



კვლევის შერჩევითი ერთობლიობის 71,3% (194 რესპონდენტი) არის მდედრობითი სქესის, ხოლო 28,7% (78 რესპონდენტი) არის მამრობითი სქესის **(იხ. დიაგრამა N2):**

დიაგრამა N2

რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით



კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში (59%), გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი (32%) უმუშევარია, კერძო სექტორშია დასაქმებული 9% **(იხ. დიაგრამა N3).**

დიაგრამა N3



გამოკითხვაში ჩართულმა რესპონდენტებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საკითხის მიმართ, „რამდენად ეთანხმებიან დებულებას, რომ ოჯახში ძალადობა აქტუალური, მწვავე საკითხია“.

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ მონაწილეთა უდიდესი უმრავლესობა (74%) აღიქვამს ძალადობას, როგორც მწვავე პრო-

ბლემას და აქტუალურ საკითხს, რომელზეც მნიშვნელოვანია რეაგირება. გამოკითხულთა მეოთხედი (24,5%) აცხადებს, რომ ამ დებულებას ეთანხმება ნაწილობრივ. მხოლოდ 1,5% არ აღიარებს ოჯახში ძალადობის პრობლემის აქტუალურობას **(იხ. დიაგრამა N4):**

დიაგრამა N4



საინტერესოა რესპონდენტების ინფორმირებულობის საკითხი ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკანონმდებლო რეგულაციებზე, ძალადობისგან დაცვის მექანიზმებზე - გამოკითხულთა 65%-ს აქვს ინფორმაცია კანონსა და ძალადობისგან დაცვის მექანიზმებზე (დიახ - 65%, არა - 12,3%, ნაწილობრივ - 22,7%).

რაც შეეხება ინფორმირებულობის ხარისხს საქმიანობის სფეროს მიხედვით - სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანე-ბის პასუხებით, კარგად იცნობს კანონს მათი 60%, რაც ჩამორჩება კვლევის საშუალო მაჩვენებელს (65%). სამაგიეროდ, ისინი უფრო ხშირად ირჩევენ პასუხს „ნაწილობრივ“ (33,8%). მთლიანობაში, კანონს კარგად და/ან ნაწილობრივ იცნობს სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა 93,8%, ხოლო მთლიანად კვლევაში ჩართულთა საერთო მაჩვენებელი ამ კუთხით არის 87,7%. მათი რაოდენობა, ვისაც არ აქვს ინფორმაცია კანონზე, სახელმწიფო სტრუქტურებში ნაკლებია (6,2%), შედარებით კვლევის საშუალო მონაცემთან (12,3%).

რაც შეეხება მოქალაქეთა ინფორმირებულობის ხარისხს თემების მიხედვით **(დიაგრამა N5),** მიღებული მონაცემებით, კარგად არის ინფორმირებული თეკლათის, ნოსირის, სენაკის, ზანას მოსახლეობა. ინფორმირებულობის შედარებით დაბალი დონე დააფიქსირეს ნოქალაქევის და ძველი სენაკის თემის მოქალაქეებმა:

დიაგრამა N5

ინფორმაცია საკანონმდებლო რეგულაციებზე



კითხვას - „განხორციელებულა თუ არა თქვენზე, თქვენი ოჯახის წევრზე, ახლობელზე, მეზობელზე რაიმე სახის ძალადობა“ - რესპონდენტთა უმრავლესობა (76%) უარყოფით პასუხს სცემს (მსგავსი ფორმულირება განპირობებული იყო იმით, რომ რესპონდენტებს, ზოგადად, უჭირთ იმის აღიარება, რომ მათ, ან მათ ახლობლებს შეხება აქვთ ოჯახში ძალადობის პრობლემასთან). ძალადობის ფაქტების არსებობა თავის გარემოცვაში აღიარა რესპონდენტთა 15%-მა. პასუხს თავი აარიდა გამოკითხულთა 9%-მა **(იხ. დიაგრამა N6).**

დიაგრამა N6

განხორციელებულა თქვენზე ან თქვენს ნათესავზე, ახლობელზე, მეზობელზე რაიმე სახის ძალადობა?



გამოკითხვის მიხედვით შესაძლებელი გახდა მონაწილეთა მოსაზრების დაფიქსირება ძალადობის ყველაზე ხშირი მსხვერპლის თაობაზე: უმეტესად, მსხვერპლად ყველაზე ხშირად ქალი სახელდება, ყველაზე ნაკლებად სავარაუდო მსხვერპლად - მამაკაცი (3%). ბავშვებს, როგორც ძალადობის შედეგად დაზარალებულებს, ასახელებს გამოკითხულთა 16% **(იხ. დიაგრამა N7).**

დიაგრამა N7

ვისზე ხორციელდება ძალადობა ყველაზე ხშირად?



მამაკაცი, როგორც ძალადობის მსხვერპლი, ყველაზე მეტად გამოკვეთეს თეკლათის თემში (15 გამოკითხულიდან 4 (26.6%) სწორედ მას მიიჩნევს ყველაზე ხშირად დაზარალებულად).

ძალადობის ფორმები: რესპონდენტების მოსაზრებით, ძალადობის ფორმებიდან ყველაზე ხშირად აქვს ადგილი ფსიქოლოგიურ ძალადობას (მსგავს პოზიციას აფიქსირებს გამოკითხულთა 40%). ფიზიკური ძალადობის პრობლემას გამოკითხულთა 37% უსვამს ხაზს **(იხ. დიაგრამა N8):**

დიაგრამა N8

ძალადობის რომელი ფორმა ფიქსირდება ყველაზე ხშირად?



თემების მიხედვით საკითხის აღქმა ოდნავ განსხვავებულია. ფიზიკური ძალადობა უფრო ხშირად ფიქსირდება ზანას, ახალსოფლის თემში გამოკითხულებში. ფსიქოლოგიური ძალადობის უფრო მეტ ხარისხზე მიუთითებენ გეჯეთის, ლეძაძამეს თემის რესპონდენტები. ეკონომიკური ძალადობის თემა წამოსწიეს უფრო თეკლათის, ეკის, ფოცხოს თემის წევრებმა. სექსუალური ძალადობის შემთხვევებს გაუსვეს ხაზი ეკის, ახალსოფლის, თეკლათის თემის წარმომადგენლებმა. იძულება, როგორც ძალადობის ფორმა, არ გამოკვეთილა ლეძაძამეს, უშაფათის, ზემო ჭალადიდის, ნოქალაქევის, ძველი სენაკის, ფოცხოს თემში მიღებული პასუხებით. ის დასახელდა ეკის, ნოსირის რესპონდენტთა პასუხებში (უფრო თვალსაჩინოდ, **(იხ. დიაგრამაში N8 (1)):**

დიაგრამა N8 (1)

ძალადობის ფორმები



ნიშანდობლივია, რომ ორივე სქესი ძალადობის სხვადასხვა ფორმის სიხშირის თვალსაზრისით დაახლოებით ერთსა და იმავე პოზიციას აფიქსირებს. რაც შეეხება სექსუალური ძალადობის (გაუპატიურება / გაუპატიურების მცდელობა, სექსუალური კავშირის დაძალება მეუღლეზე და ა.შ) პრობლემის აღიარებას, მას უფრო ხშირად ქალები უსვამენ ხაზს (5,2%).

დიაგრამა N8 (2):

ძალადობის ფორმები



რაც შეეხება გამოკითხვაში მონაწილე მამაკაცების პოზიციებს, თვალშისაცემია ეკონომიკური ძალადობის ფორმის მეტი ხარისხის დაფიქსირება (23%), მაშინ როცა საერთო მაჩვენებელი არის 15%. გამოკითხული მამაკაცების მართალია, მცირე რაოდენობა, მაგრამ აფიქსირებს სექსუალური ძალადობის ფაქტების არსებობას (იხ. მონაცემები **დიაგრამა N8 (3):**

დიაგრამა N8 (3):

მამაკაცების ხედვა ძალადობის გავრცელებულ ფორმებზე



სენაკის მუნიციპალიტეტში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რესპონდენტების მოსაზრება, რა ფაქტორები ახდენს გავლენას ძალადობრივი გარემოს შექმნაზე - მძიმე ემოციური ფონი, მატერიალური პრობლემები, აზრთა სხვადასხვაობა, ეჭვიანობა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, სხვა დამოკიდებულებები. გამოკითხულები ყველაზე ხშირად მატერიალურ პრობლემებს

ასახელებენ, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელს. საერთო მონაცემები **იხ. დიაგრამაში N9:**

დიაგრამა N9



მიღებული პასუხები გვიჩვენებს, რომ მატერიალური პრობლემები, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი, უფრო გამოიკვეთა ზანაში, ეკში, მენჯსა და გეჯეთში. აზრთა სხვადასხვაობა, როგორც ოჯახში ძალადობრივი კონფლიქტების გამომწვევი, დასახელდა ახალსოფელში. ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი უფრო გამოიკვეთა ზანაში, ახალსოფელსა და ნოსირში. „ეჭვიანობა“ ფოცხოში დასახელდა, როგორც ძალადობრივი ფონის შემქმნელი. ეს საკითხი ფიგურირებდა ზანასა და ახალსოფელში, თეკლათში მიღებულ პასუხებშიც **(მონაცემები იხ. N10 დიაგრამაში):**

დიაგრამა N10



გამოკითხვით გამოვლინდა, რა რეაქცია აქვს მსხვერპლს ძალადობაზე. მიღებული პასუხების თანახმად, რესპონდენტთა დაკვირვებით, მსხვერპლი ამჯობინებს მოთმინებას. ის უფრო ხშირად მიმართავს ნათესავებს და მეგობრებს, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურებს. გარეშე დახმარების გარეშე „ცდილობს, გაუწიოს წინააღმდეგობა“ გამოკითხულთა 10%-ის აზრით (**მონაცემები იხ. N11 დიაგრამაში**).

დიაგრამა N11



საერთო მონაცემებთან მიმართებით, საინტერესოა სხვადასხვა ასაკის მამაკაცების მოსაზრების გამოვლენა იმასთან დაკავშირებით, რა არის მსხვერპლის საპასუხო ქცევა ძალადობაზე (**დიაგრამა N11 (1)**):

დიაგრამა N11(1)



მონაცემები გვიჩვენებს, რომ მამაკაცების 50%-ის მიერ არჩეულია პასუხი „ამჯობინებს მოთმინებას“. პასუხების 22,7% - „მიმართავს ნათესავებს, მეგობრებს“; 10.3% - „უწევს წინააღმდეგობას“; 1.3% - „სხვა“.

საინტერესო იყო სურათი, ვისი ჩარევა მიაჩნიათ რესპონდენტებს უფრო ეფექტურად ოჯახში ძალადობის შემთხვევაში. საერთო მონაცემები იხ. **დიაგრამაში N12:**

დიაგრამა N12



როგორც ირკვევა, გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობრივი კონფლიქტების დროს ყველაზე ეფექტური ახლობლების ჩარევაა და მათ ყველაზე პოზიტიური როლის შესრულება შეუძლიათ კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაში. შემდგომი ინსტიტუტი, რომელიც ნდობის მანდატით სარგებლობს, არის პოლიცია (26%). სოფლებში მერის წარმომადგენელს უცხადებს ნდობას გამოკითხულთა 11%. სოციალური მუშაკის ჩარევა მიაჩნია ეფექტურად გამოკითხულთა 19%-ს.

ამ საკითხშიც საინტერესოა მამაკაცებისგან მიღებული მონაცემების ანალიზი: პასუხების 32% ცხადყოფს, რომ ყველაზე ეფექტურად მიიჩნევა ახლობლების ჩარევა. „მერის წარმომადგენელი სოფლად“ პასუხების 10,9%-ში ფიგურირებს, არასამთავრობო ორგანიზაციები - 6,4%-ში. სოციალური მუშაკის ინსტიტუტს ენიჭება მნიშვნელობა პასუხების 19%-ში. აღსანიშნავია, რომ მამაკაცებს პოლიციის ჩართვა ეფექტურად

მიაჩნიათ დაფიქსირებული პასუხების 27,4%-ით, რაც საერთო მონაცემებს აღემატება (26%). ანუ - მოცემული გამოკითხვით, მამაკაცებს ძალადობაზე რეაგირების კუთხით პოლიცია უფრო ეფექტურ ინსტიტუტად მიაჩნიათ, ვიდრე ქალებს. აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიციისადმი მიმართვის აუცილებლობა უფრო მეტად გამოიკვეთა რესპონდენტთა ასაკის ზრდასთან ერთად: >40 წელი - 23,1% 40-60 წელი - 28,1%, <60 წელი - 38%.

საერთო მონაცემები იხ. **დიაგრამაზე N12 (1):**

დიაგრამა N12 (1)



შემდგომი საკითხი, თუ რა ღონისძიებები მიაჩნიათ სენაკის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს ძალადობაზე რეაგირებისათვის ყველაზე ეფექტურად: ძალადობის მასშტაბების შემცირებისთვის ყველაზე ეფექტურად იყო მიჩნეული კრიზისულ ოჯახებთან მუშაობა (27%). ძალადობის პრევენციის სხვადასხვა ადგილობრივი ღონისძიება დაასახელა გამოკითხულთა 24.7%-მა. დაახლოებით ისეთივე ადგილი დაეთმო ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ღონისძიებებს (24.1%). საკმაოდ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებს (გამოკითხულთა 22%). ამ კუთხით მამაკაცების პოზიცია: **დიაგრამა N12 (2)**

დიაგრამა N12 (2)

მამაკაცების პოზიცია - ძალადობის შემცირების ღონისძიებები



რაც შეეხება სურათს თემების მიხედვით, მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ძალადობის პრევენციის ღონისძიებებს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკში. კრიზისულ ოჯახებთან მუშაობაზე გამახვილებულია ყურადღება უფრო თეკლათში, ასევე ლეძაძამესა და ნოსირში. ქალთა გაძლიერების პროგრამები ყველაზე უფრო ხაზგასმულია ფოცხოში. მსხვერპლის დახმარებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა თეკლათში, ეკში, შემდგომ - ზემო ჭალადიდსა და მენჯში. მონაცემები **დიაგრამაზე (N13):**

დიაგრამა N13

ღონისძიებები ძალადობის მასშტაბების შესამცირებლად



საინტერესოა, ცალკე გამოიყოს მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების (ტრენინგის მონაწილეების) გამოკითხვით მიღებული მონაცემების ანალიზი.

ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებულ ტრენინგს საჯარო სამსახურში დასაქმებული 80 მოხელე დაესწრო. მონაწილეთა ასაკი იყო: 40 წლამდე ასაკის 30%; 40-დან 60 წლამდე ასაკის 60%; 60 წელს ზემოთ - 10%. მათ შორის გენდერული თანაფარდობა შემდეგნაირია **(დიაგრამა N14):**

დიაგრამა N14

მონაწილეთა სქესი



ტრენინგის მონაწილეების უმეტესობა (77.5%) ეთანხმება ფორმულირებას, რომ ოჯახში ძალადობა აქტუალური და მწვავე საკითხია. ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას 20%, არ ეთანხმება 2.5%.

ინფორმაცია ძალადობის აღკვეთის სახელმწიფო მექანიზმებზე აქვს ტრენინგის მონაწილეთა 60%-ს. საკმარისი ინფორმაცია არა აქვს - 6.2%, ნაწილობრივ ფლობს ინფორმაციას - 33.8%.

„განხორციელებულა თუ არა ძალადობა თქვენზე, ან თქვენი ოჯახის წევრებზე“ - მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა უმეტესობა ამ კითხვას უარყოფით პასუხს სცემს, ტრენინგის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი აღიარებს პრობლემის არსებობას (21.3%). მათი 8% ირჩევს პასუხს - მიჭირს პასუხის გაცემა. **იხ. დიაგრამა N15:**

დიაგრამა N15



ტრენინგის მონაწილეთა აზრით, ძალადობის ყველაზე ხშირი მსხვერპლი არის ქალი. შემდეგი კატეგორია, ვისაც ეხება ძალადობის შედეგები, უფრო ხშირად ბავშვია, ნაკლებად, მაგრამ ძალადობის ობიექტებად შეიძლება მოგვევლინონ მოხუცები. კატეგორიაში „სხვა“ მონაწილეები არ აკონკრეტებენ, ვინ ჰყავთ მხედველობაში. ძალადობის მსხვერპლად, რესპონდენტთა აზრით, ყველაზე იშვიათად გვევლინებიან მამაკაცები. საინტერესოა ტრენინგის მონაწილეთა პასუხების შედარება გამოკითხვით მიღებულ საერთო პასუხებთან. **იხ. დიაგრამა N16:**

დიაგრამა N16



ძალადობის ფორმათაგან - ფიზიკური, ფსიქოლოგიური (დამცირება, შანტაჟი, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა–გინება და სხვა), ეკონომიკური, სექსუალური (გაუპატიურება, სექსუალური კავშირის დაძალება მეუღლეზე), იძულება - ტრენინგის მონაწილეთა აზრით, ყველაზე ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობა (47%), სექსუალური ძალადობა, როგორც ძალადობის გამოვლენილი ფორმა, დასახელდა 3%-ის მიერ. სხვა მონაცემები **იხ. დიაგრამაზე N17:**

დიაგრამა N17



ტრენინგის მონაწილეთა აზრით, ძალადობრივი ფონის შექმნაზე ყველაზე უფრო მოქმედებს მატერიალური პრობლემები (35,2%), მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია სხვადასხვა დამოკიდებულება - ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, გემბლინგი (20%). მძიმე ემოციური ფონი, არასტაბილურობის განცდა დაასახელა 18,6%-მა. ეჭვიანობა, როგორც ძალადობის მაპროვოცირებელი, გამოკვეთა გამოკითხულთა 15,2%-მა. აზრთა სხვადასხვაობას მიიჩნევს მიზეზად 8,3%, „სხვა“ მიუთითა გამოკითხულთა 2,7%-მა.

მსხვერპლის რეაქცია ძალადობაზე რეაგირებისთვის, ტრენინგის მონაწილე საჯარო მოხელეთა აზრით, შემდეგია: ამჯობინებს მოთმინებას - 52,5%. მიმართავს ნათესავებს, მეგობრებს -

27,3%. მსხვერპლი „მიმართავს პოლიციას/სხვა სახელმწიფო სტრუქტურას“ გამოკითხულთა 13,1%-ის მოსაზრებით.

მხოლოდ 6,4% თვლის, რომ მსხვერპლი თვითონ უწევს წინააღმდეგობას. „სხვა“ დასახელდა მონაწილეთა 1%-ს მიერ.

საკითხი, ძალადობის მასშტაბების შესამცირებლად ადგილობრივ დონეზე რა სახის ღონისძიებებია უფრო ეფექტური, სენაკის საჯარო მოხელეები თვლიან, რომ ყველაზე ეფექტურია ახლობლების ჩარევა - 26%. ეფექტურობის მხრივ დაახლოებით ერთნაირია, მათი აზრით, პოლიცია - 25,2% და სოციალური მუშაკი - 23,7%. არასამთავრობო ორგანიზაციების ჩარევა მიაჩნია ეფექტურად 13,4%-ს, მერის წარმომადგენელი თემში მხოლოდ პასუხების 6,7%-ში მიიჩნევა ეფექტურ ინსტრუმენტად, სასამართლო - 4,2%, სხვა - 0,8%.

ადგილობრივ დონეზე ძალადობის მასშტაბების შესამცირებლად გამოკითხულებს უფრო ეფექტურად მიაჩნიათ შემდეგი ღონისძიებები: ძალადობის პრევენციის ადგილობრივი ღონისძიებები - 28,1%, კრიზისულ ოჯახებთან მუშაობა - 25,9%, ქალთა/ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები - 23%, ძალადობის მსხვერპლის დახმარება - 21,6%, სხვა - 1,4%.

კვლევის ძირითადი მიგნებები/დასკვნები

ფონდი „სოხუმის“ და სენაკის თვითმმართველობის ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ მუნიციპალიტეტში ძალადობის პრობლემის სიტუაციური მდგომარეობის შესახებ შემდეგი სურათი აჩვენა:

სენაკის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემა მოქალაქეთა მიერ დანახულია, როგორც მწვავე სოციალური საკითხი. გამოკითხვის მონაწილეთა 74% მიუთითებს, რომ ეს საკითხი აქტუალურია და საჭიროებს შესაბამის რეაგირებას. გამოკითხულთა 24,5% ნაწილობრივ ეთანხმება დებულებას, რომ საკითხი მწვავე და აქტუალურია და მხოლოდ რესპონდენტთა 1,5% არ მიიჩნევს საკითხს საგანგაშოდ.

ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის სახელმწიფო კანონსა და საკანონმდებლო რეგულაციებზე რესპონდენტთა უმრავლესობა კარგად არის ინფორმირებული (მათი 65%). უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოხელეთა პასუხები ამ კუთხით მცირედ ჩამორჩება საერთო მონაცემებს. მათი რაოდენობა, ვინც ფლობს ინფორმაციას, არის 60%. თუმცა მეტია იმათი რაოდენობა, ვინც აცხადებს, რომ ნაწილობრივ ფლობს ინფორმაციას (33.8%). შეჯამებული მონაცემებით, „ნაწილობრივ ფლობს ინფორმაციას" გამოკითხულთა 22,7%.

სქესისა და ინფორმირებულობის დონის კროსტაბულაციით (ურთიერთმიმართებით) დგინდება, რომ ქალთა მეტმა ნაწილმა იცის კანონის არსებობა, ხოლო მამაკაცებს შედარებით ნაკლებად აქვთ კანონის შესახებ ინფორმაცია. კანონის შესახებ შედარებით მეტი ინფორმაცია აქვთ ახალგაზრდებს, ვიდრე უფროსი ასაკის რესპონდენტებს.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ თეკლათის, ნოსირის, სენაკის, ზანას თემებში შედარებით მეტი ინფორმაცია აქვთ საკითხზე.

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (76%) ამბობს, რომ მათ გარემოცვაში ძალადობას ადგილი არ აქვს. 15% აღიარებს, რომ ჰქონია შეხება პრობლემასთან ან თვითონ, ან თავისი ახლობლების შემთხვევაში. 9%-მა აირჩია პასუხი: მიჭირს პასუხის გაცემა, რაც პრობლემის ღიად დაფიქსირებისგან თავის არიდებას ნიშნავს და არ გამორიცხავს მის არსებობას.

გამოკითხვის მონაწილეები აღიარებენ, რომ ქალი ყველაზე მეტად არის დაზარალებული ძალადობის შემთხვევაში (68%-ის მოსაზრებით). იკვეთება, რომ მათ მიერ დანახულია ბავშვების, როგორც ძალადობის პირდაპირი და ირიბი მსხვერპლების საკითხი (16%), რაც საგანმანათლებლო დაწესებულებებთან უფრო მჭიდრო კოორდინაციისა და თანამშრომლობის საკითხს უსვამს ხაზს.

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა მხრიდან ძალადობრივი ქმედებების განმაპირობებელი მიზეზებიდან ყველაზე ხშირ შემთხვევაში მაპროვოცირებელ ფაქტორად დასახელებულია მატერიალური პრობლემები - 37%. არაჯანსაღ კლიმატს ოჯახში განაპირობებს არასტაბილური გარემო, სტრესი და მძიმე ემოციური ფონი (18%). გარდა ამისა, დაფიქსირდა ალკოჰოლური და ნარკოდამოკიდებულება (17%), როგორც საფრთხე ჰარმონიული

გარემოსთვის. დანახულია საფრთხე ისეთ მოვლენებში, როგორიცაა ეჭვიანობა (15%) და აზრთა სხვადასხვაობა (11%).

რესპონდენტების პასუხებიდან იკვეთება მკაფიო კავშირები ძალადობის კონკრეტულ ფორმებსა და მის გამომწვევ ფაქტორებს შორის. მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ის რესპონდენტები, რომლებიც ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს უსვამენ ხაზს, ძალადობის მაპროვოცირებელ ფაქტორად უფრო ხშირად უთითებენ ეჭვიანობას, ნარკომანიას, ალკოჰოლიზმს, სხვა დამოკიდებულებებს. ხოლო ისინი, ვინც მათი, ან მათი გარემოცვის წევრების მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებს აღიარებს - მატერიალურ პრობლემებს და აზრთა სხვადასხვაობას. აღნიშნული მოცემულობის ილუსტრირება შემდეგია:





გამოკითხვით გამოიკვეთა სურათი, რომლითაც ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას მსხვერპლი ამჯობინებს მოთმინებას (49%), ან მიმართავს ნათესავებს და მეგობრებს (23%). პოლიციას ან სხვა სახელმწიფო რგოლებს რეაგირებისთვის დაზარალებული შედარებით ნაკლებად მიმართავს (17%). მონაწილეების აზრით, მსხვერპლი ზოგჯერ ცდილობს, თვითონ გაუწიოს წინააღმდეგობა (10%).

დაზარალებულთა რეაგირება ოჯახში ძალადობაზე, როცა ისინი ცდილობენ, თვითონ გაუმკლავდნენ პრობლემებს, ან მოითმინონ („ამჯობინებს მოთმინებას“ საჯარო მოხელეთა 52,5%-ის აზრით და შეჯამებული მონაცემების 49%-ით), ძირითადად, ასახავს პრობ-ლემის მიმართ მათ სტერეოტიპულ განწყობას, რომ „ოჯახიდან ნაგავი არ გააქვთ“. ეს საკმაოდ საგანგაშოა და საკითხის მიმართ ადგილობრივი თვითმმართველობის უფრო მიზანმიმართული ინტერვენციის საჭიროებაზე მიუთითებს.

საინტერესოა რესპონდენტთა დამოკიდებულება ძალადობაზე რეაგირებისა და რეფერალური სუბიექტების მიმართ ნდობის საკი-თხის მიმართ, რომლებიც ჩართულები არიან, ან / და ევალებათ ძა-ლადობის შემთხვევების იდენტიფიცირება, შემთხვევების მართვა, პრევენციის კუთხით მუშაობა.

შემდგომი პასუხებით გამოიკვეთა, რომ გამოკითხულები ხედავენ საკმაო რესურსს დაზარალებულთა დახმარებისთვის, რაც გამოჩნდა იმაში, რომ პოლიციის ჩარევას ეფექტურად მიიჩნევს გამოკითხვაში ჩართულთა 26%, მათი აზრით, სხვა სახელმწიფო რგოლები (სოციალური მუშაკი - 19%, მერის წარმომადგენელი თემში - 11%) ასევე ეფექტურია ძალადობაზე რეაგირებისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც ინსტრუმენტი ძალადობაზე რეაგირებისთვის, ეფექტურად მიაჩნია მხოლოდ გამოკითხულთა 6%-ს. საინტერესოა, რომ ამ კუთხით სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები მეტ ნდობას უცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათი ჩართვა ეფექტურად მიაჩნია 13,4%-ს. უფრო მეტად ხედავენ ისინი სოციალური მუშაკის ფუნქციასაც (23,7%). სასამართლოს მიმართ დამოკიდებულება დაახლოებით იდენტურია (საშუალოდ - 3.6%).

ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ გამოკითხვაში მონაწილე

საჯარო მოხელეები უფრო ნაკლებეფექტურად მიიჩნევენ მერის წარმომადგენლის ჩართვას ძალადობის შემთხვევების მართვაში (მათი პასუხების 6,7%), ვიდრე უბრალო მოქალაქეები (მათი პასუხების 11%).

ჩვენი აზრით, გამოკითხულებში არ არის სათანადოდ დანახული თემში მერის წარმომადგენლის როლი ძალადობაზე რეაგირების, რისკ-ჯგუფებთან მუშაობის კუთხით. სადღეისოდ არსებული პრაქტიკით, მათი თემის მოწყვლად ოჯახებთან მუშაობა, ძალადობის პირველადი იდენტიფიცირება, შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით შემდგომი ინტერვენცია და რეფერირებაში მონაწილეობა ყველაზე ეფექტური საშუალებაა თემში ძალადობის აღმოფხვრისა და მისი პრევენციის საკითხში, ვინაიდან მერის წარმომადგენელს თემში, როგორც შუამავალ რგოლს მოქალაქეებსა და ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის, ყველაზე უკეთ ხელეწიფება რისკ-ჯგუფის ოჯახებთან სოციალური მუშაკებისა თუ სამართალდამცავების, რეფერირების სხვა სუბიექტების დაკავშირება და კოორდინირებული თანამშრომლობა.

კვლევის ერთ-ერთი მიგნება/დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ გამოიკვეთა სოციალური მუშაკის ინსტიტუტის მეტი მიმღებლობა ახალგაზრდების მხრიდან (>40 წელი -21%) და შედარებით ნაკლები - ასაკოვანი რესპონდენტების მხრიდან (40-60 წელი-19%, <60 წელი – 12%) ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ ეს ინსტიტუტი შედარებით ახალია და ამიტომ არასაკმარისად პოპულარული, განსაკუთრებით უფროსი ასაკის ადამიანებში.

დაფიქრების საფუძველს იძლევა რესპონდენტების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების როლის არც თუ მაღალი ხარისხით შეფასება. ჩვენი მიგნებით, იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა ინფორმირებულია პრობლემაზე და მეტნაკლებად აქვს ინფორმაცია ძალადობისგან დაცვის არსებულ მექანიზმებზე, სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ არის უფრო განსხვავებული მოლოდინი, ვიდრე მხოლოდ ინფორმირება-განათლებაა. სამწუხაროდ, სადღეისოდ მხოლოდ ერთეული ორგანიზაციები ახერხებენ სხვადასხვა სერვისის

შეთავაზებას მოქალაქეებისთვის და ამ საკითხში მათი რესურსის მეტი გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით სენაკის მუნიციპალიტეტს საკმაოდ კარგი პრაქტიკა აქვს და საჭიროა მისი განვრცობა.

საყურადღებოა სასამართლოს როლის მიმართ გამოკითხულების ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება, როცა პოლიციასთან შედარებით მათ ძალიან ცოტა მოქალაქე (3.6% საშუალოდ) მიიჩნევს ეფექტურ მექანიზმად. მიგვაჩნია, რომ ამის საფუძველს იძლევა მათ მიერ განხილული საქმეების შედეგად გამოტანილი ცალკეული არაადეკვატური გადაწყვეტილებები და კიდევ ერთხელ ავლენს სპეციალიზირებული მოსამართლის ინსტიტუტის საჭიროებას.

მიგვაჩნია, რომ ფონდი „სოხუმის“ მიერ შესრულებული სამუშაოთი მიღწეულია კვლევის ძირითადი მიზანი - გამოვლენილია სენაკის მუნიციპალიტეტში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კუთხით არსებული სიტუაცია, დანახულია არსებული საჭიროებები და გამოწვევები, დაფიქსირებულია საზოგადოების სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფის პოზიციები. მოპოვებული მონაცემები საშუალებას იძლევა, გაკეთდეს გარკვეული რეკომენდაციები, რათა გაუმჯობესდეს არსებული მდგომარეობა ძალადობის შემთხვევების აღმოჩენისა და მართვის, სტრუქტურათშორისი ეფექტური კოორდინაციის, სენაკის მოქალაქეთათვის სოციალური მომსახურების მიწოდების უკეთესი პრაქტიკის კუთხით.

სარეკომენდაციო წინადადებები

1. საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობის უწყვეტი რეჟიმის შენარჩუნება მოსახლეობაში ძალადობის პრობლემის სათანადო აღქმის ხელშეწყობის და ძალადობისგან დაცვის მექანიზმების გაცნობის, მათი უფრო ეფექტური გამოყენების კუთხით.

2. სოციალური მუშაკის ინსტიტუტის პოპულარიზაცია და მისი თანამშრომლობის გაღრმავება თვითმმართველობის სოციალურ სამსახურთან, ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებთან - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან მეტი დაცვის, ძალადობის პრევენციისთვის.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების პერმანენტული განათლება ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მექანიზმებზე. განსაკუთრებით, თემში მერის წარმომადგენლების როლის გაძლიერება შემთხვევების აღმოჩენასა და მართვაში, კრიზისულ ოჯახებთან მუშაობაში.

4. თვითმმართველობის, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტიური თანამშრომლობა ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობის რეფერირებაში ჩართულ სუბიექტებთან ძალადობის პრევენციის ღონისძიებების ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის, რისკ-ჯგუფის ოჯახებთან მუშაობის კუთხით.

5. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და მათი რესურსის გამოყენება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის, დაზარალებულთა დახმარების მიმართულებით, ერთობლივი საზოგადოებრივი კამპანიების ორგანიზება.

6. ძალადობის რისკ-ჯგუფის ოჯახების ბაზის შექმნა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, გენდერული მრჩევლის ხელმძღვანელობით.

7. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის, დაზარალებულთა დახმარების, მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების ასახვა მუნიციპალიტეტის სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში და მათი შესრულებისთვის შესაბამისი საბიუჯეტო რესურსების უზრუნველყოფა.

8. ძალადობის მსხვერპლთა და რისკ-ჯგუფის წარმომადგენელთა დასაქმებაში ხელშეწყობის კუთხით ეფექტური გრძელვადიანი მუნიციპალური პროგრამების დანერგვა.

დანართი

ოჯახში ძალადობის პრობლემის სიტუაციური კვლევა სენაკის მუნიციპალიტეტში (გამოკითხვა)

1. ასაკი: ……..

2. სქესი: 1) მდედრობითი 2) მამრობითი

3. საცხოვრებელი ადგილი (მიუთითეთ სოფლის სახელი)

---

4. სამუშაო ადგილი: 1) სახელმწიფო სტრუქტურა 2) კერძო სტრუქტურა 3) უმუშევარი

5. რამდენად ეთანხმებით დებულებას: „ოჯახში ძალადობა აქტუალური, მწვავე საკითხია?“
1) ვეთანხმები 2) ნაწილობრივ ვეთანხმები 3) არ ვეთანხმები

6. გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის აღკვეთის სახელმწიფო კანონსა და ძალადობისგან დაცვის მექანიზმებზე?
1) დიახ 2) არა 3) ნაწილობრივ

7. განხორციელებულა თუ არა ოდესმე თქვენზე (თქვენი ოჯახის რომელიმე წევრზე, თქვენს ახლობელზე, მეზობელზე) რაიმე სახის ძალადობა ოჯახის წევრის მხრიდან?
1) დიახ 2) არა 3) მიჭირს პასუხის გაცემა

8. თქვენი აზრით, ვისზე ხორციელდება ძალადობა უფრო ხშირად?
1) ქალზე 2) ბავშვზე 3) მამაკაცზე
4) მოხუცზე 5) სხვა.....

9. თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან, ძალადობის რა ფორმა უფრო ხშირია? (შეიძლება ერთზე მეტი პასუხი)

1) ფიზიკური

2) ფსიქოლოგიური **(დამცირება, შანტაჟი, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება და სხვა)**

3) ეკონომიკური

4) სექსუალური **(გაუპატიურება, სექსუალური კავშირის დაძალება მეუღლეზე)**

5) იძულება

10. თქვენი შეხედულებით, რა ფაქტორები მოქმედებს ოჯახში ძალადობრივი გარემოს შექმნაზე? (შეიძლება ერთზე მეტი პასუხი)

1) მძიმე ემოციური ფონი

2) მატერიალური პრობლემები

3) აზრთა სხვადასხვაობა

4) ეჭვიანობა

5) ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, სხვა დამოკიდებულებები

6) სხვა----------

11. თქვენი აზრით, ძალადობის მსხვერპლის რეაქცია უფრო ხშირად შემდეგია:

1) მიმართავს პოლიციას / სხვა სახელმწიფო სტრუქტურას

2) მიმართავს ნათესავებს, მეგობრებს

3) უწევს წინააღმდეგობას

4) ამჯობინებს მოთმინებას

5) სხვა ----------

12. ვის ჩარევას თვლით უფრო ეფექტურად ოჯახში ძალადობის შემთხვევებში?

1) პოლიცია

2) მერის წარმომადგენელი სოფლად

3) სოციალური მუშაკი

4) სასამართლო

5) ახლობლები

6) არასამთავრობო ორგანიზაცია

7) სხვა ----------

13) ძალადობის მასშტაბების შესამცირებლად ადგილობრივ დონეზე რა სახის ღონისძიებები მიგაჩნიათ უფრო ეფექტურად? (შეიძლება რამდენიმე პასუხის არჩევა)

1) ძალადობის პრევენციის ადგილობრივი ღონისძიებები
2) კრიზისულ ოჯახებთან მუშაობა
3) ქალთა / ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები
4) ძალადობის მსხვერპლის დახმარება
5) სხვა ----------

გმადლობთ თანამშრომლობისთვის

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

კვლევაზე მუშაობდა - ემა კამკია

დიზაინი - ლია კოსტავა

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02 ფაქსი: 27 13 68
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge



მამაკაცების პოზიცია მსხვერპლის რეაქციაზე